სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

20 ივნისი, 2011 წელი, №66

სამართლებრივი ოლიმპიადა 2011

20 ივნისს, 13 საათზე საქართველოს უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები თბილისის საქალაქო სასამართლოს ინიციატივით გამართულ სამართლებრივ ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

2

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილები

ერთდროულად სხვადასხვა კანონში, უახლოეს მომავალში, მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა იგეგმება. შესაბამისი კანონპროექტები უკვე პარლამენტშია და დეპუტატები თითოეულ მათგანზე, ეტაპობრივად, ცალ-ცალკე მსჯელობენ. ამჯერად, საუბარი გვექნება "მეწარმეთა შესახებ" კანონში, "ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა" კოდექსში, და "საგადასახადო კოდექსში, შესატან ნორმებსა და წესებზე.

2

ალიმენტის დაკისრების და გადახდის წესი

იმ საქმეებს შორის, რომლებსაც ქართული მართლმსაჯულება განიხილავს და საოჯახო დავების კატეგორიას განეკუთვნება, მრავლადაა ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებით მეუღლეებს შორის წარმოებული დავებიც. ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

4

სტატისტიკა და ქართული მართლმსაჯულება

სასამართლოს ნდობის მაჩვენებელის ზრდასთან ერთად, განსახილველ საქმეთა რაოდენობაც მატულობს

ბოლო წლების მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციების თუ საკუთარი რესურსებით ჩატარებულმა გამოკითხვებმა, რომელთაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა - ქართული მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის დინამიკა ბოლო ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაზრდილია - ნდობის მაჩვენებელი ყოველწლიურად მატულობს.



სასამართლოს მომხმარებელთა ბოლო კვლევა ახლახანს, 2 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით, საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში ჩატარდა. კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების NORLG, ABA, UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოში მისული მოქალაქეების 75 პროცენტმა განაცხადა, რომ ედნობა სასამართლოს.

გარდა კვლევებისა, მართლმსაჯულებისადმი ნდობის ხარისხის გაზრდის დასტურია, სასამართლოებში განსახილველ საქმეთა რაოდენობის მატების ტენდენციაც. ამაზე მეტყველებს, 2009-2010 წლის შედარებითი სტატისტიკა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 37,8 პროცენტით, ხოლო განხილული საქმეების რაოდენობა 33,0 პროცენტით. ანუ, თუ 2009 წელს სასამართლოებმა განიხილეს 22 ათას 646 საქმე, 2011 წელს - 30097 საქმე. 2010 წელს 35,5 პროცენტით გაიზარდა გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა - 19763 საქმე, რაოდენობაც.

2010 წელს სააპელაციო სასამართლოების სამოქალაქო პალატებში განსახილველად შევიდა 4192 სააპელაციო და კერძო საჩივარი, 385 საქმით, ანუ 10,1 პროცენტით მეტი, ვიდრე 2009 წელს. განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 7,3 პროცენტით - 3953 საქმე. განიხილეს სააპელაციო საჩივრით შესული 2310 საქმე - 2009 წელთან შედარებით 160 საქმით, ანუ 7,4 პროცენტით მეტი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვიზიტი ქუთაისში

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, თანამშრომლებსა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

იმერეთის რეგიონში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრები 2006 წლიდან პერიოდულად იმართება. ამჯერად, სასამართლოს თანამშრომლებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრის მიზანი, ბოლო ერთი წლის მანძილზე სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგების და სასამართლოში მიმდინარე სიახლეების გაცნობა გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო კვლევების მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართ მოქალაქეების ნდობა გაზრდილია. 2-18 მაისს სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში ჩატარდა. სულ გამოიკითხა 3787 რესპოდენტი, მათ შორის 636 რესპოდენტი გამოიკითხა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

შეკითხვაზე, რამდენ ხანს მოგიწიათ ლოდინი ვიდრე ყურადღებას მოგაქცევდნენ, ქუთაისში გამოკითხულ რესპოდენტთა 93,7 პროცენტმა განაცხადა, რომ მომსახურება გაუწიეს დროულად ან მაქსიმუმ 10 წუთში, ხოლო 92,7 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოდან სრულად მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია. სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას, როგორც ძალიან კარგს - აფასებს 55,1 პროცენტი, კარგია - 39,2 პროცენტისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქუთაისში გამოკითხული რესპოდენტების 82,3 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ მათი საქმე დროულად გადაწყვიტა.

კვლევის ბოლო შეკითხვა სასამართლოს მიმართ ნდობის საკითხს შეეხებოდა. ქუთაისის სასამართლოში მისული მოქალაქეების 71,4 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს, ხოლო 21,8 პროცენტი ამბობს, რომ ნაწილობრივ ენდობა.

ზუსტად ერთი წლის წინ, 2010 წლის წლის მაისში, ანალოგიური ტიპის გამოკითხვა USAID-ისა და უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარდა. 2010 წლის მაისში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამოკითხული რესპოდენტების 62,4 პროცენტი აცხადებდა, რომ ენდობოდნენ სასამართლოს, ხოლო 2011 წლის იმავე პერიოდისთვის, ნდობის მაჩვენებელი უკვე 71,4-მდეა გაზრდილი.

სასამართლო ხელისუფლება ამ ფაქტს, მოსამართლეთა და მოხელეთა მუდმივი გადამზადებით, კვალიფიკაციის ამაღლებით, მოსამართლეთა ობიექტურობით, ასევე, სასამართლოში მისული მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნით და შესაბამისად, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებით ხსნის.

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს გასცემს მართლმსაჯულებასთან უღთიერთობის პროცედურებთან დაკავშირებით დასმულ სხვადასხვა შინაარსის შეკითხვას.

ირაკლი ჭელიძე, 24 წლის:

- სატელეფონო შეტყობინებით სასამართლოში გამოძახებას აქვს თუ არა, სასამართლოს მიერ გამოგზავნილი დოკუმენტური უწყების ძალა? იმ შემთხვევაში, თუკი სადავო გახდება სატელეფონო შეტყობინება, არსებობს თუ არა მისი გადამოწმების გარანტია?

- სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს. სასამართლო შეტყობინებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელეფონო შეტყობინება. სატელეფონო შეტყობინება ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მხარეების ინფორმირებისთვის. სატელეფონო შეტყობინების განხორციელების თაობაზე დგება შესაბამისი აქტი, რომელიც ჩაეკერება საქმეში და რომლითაც დასტურდება უწყების ჩაბარება.

სპეციალური ტექნიკური მოწყობილობის დახმარებით შესაძლებელია, სატელეფონო შეტყობინების სადავოდ გახდის შემთხვევაში, მისი გაშიფვრა - შეტყობინების შინაარსის დადგენა.

ელისო ლობჟანიძე, 60 წლის:

- აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება, მოითხოვოს, რომ მისი საქმე კონკრეტულმა მოსამართლემ განიხილოს?

- მოქალაქეს არ აქვს უფლება, ამა თუ იმ კონკრეტული საქმის განხილვისთვის საკუთარი სურვილის მიხედვით მოითხოვოს კონკრეტული მოსამართლე. კანონი საქმეების მოსამართლეებზე განაწილების წესსს განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები მოსამართლეებს შორის ნაწილდება სასამართლოში საქმის შესვლის თანმიმდევრობის მიხედვით. საქმეების განაწილების მიზნით, მოსამართლეების რიგითობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. სასამართლოში შესული რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს. მოსამართლეების რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია, ხელახლა განაზღვროს მოსამართლეთა რიგითობა. კანონმდებლობით დაუშვებელია რომელიმე კონკრეტულ მოსამართლეზე საქმის განაწილების მოთხოვნა.

სასამართლოში შესული საქმის განაწილებისა და მდგომარეობის, სხდომათა ყოველკვირეული გრაფიკების, სასამართლოს აპარატის თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის და სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შესაბამისი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ზურაბ მეტრეველი, 32 წლის:

- შეიძლება თუ არა, რომ მხარეების თხოვნით, სასამართლო პროცესი ნაადრევად დაინიშნოს?

- მხარეების თხოვნით სხდომის ნაადრევად დანიშვნა არ შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ საქმის მწარმოებელი ორგანო - სასამართლოა უფლებამოსილი დანიშნოს სხდომა კანონით განსაზღვრულ ვადებში.

სამართლებრივი ოლიმპიადა - 2011

20 ივნისს, 13 საათზე საქართველოს უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები თბილისის საქალაქო სასამართლოს ინიციატივით გამართულ სამართლებრივ ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

სამართლებრივ ოლომპიადაში მონაწილეთა მიერ განაცხადების მიღება საქალაქო სასამართლოში 15 ივნისამდე მიმდინარეობდა. აღნიშნული ოლიმპიადა ოთხ ნაწილს მოიცავს და ის კაზუსის ამოხსნის, სამართლებრივი შეკითხვების, სამართლებრივი შეცდომების კორექტირებისა და ფინალური ეტაპის - დაბატებისაგან შედგება. ზემოაღნიშნული ოლიმპიადის კონკრეტული თემისა და საკითხების შერჩევა წინასწარ გამოუქვეყნებლად, სრული კონფედენციალურობით წარიმართა.

სამართლებრივი ოლიმპიადა საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში იმართება. აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების შვიდკაციან გუნდებს, შესაძლებლობა ეძლევათ სწავლის პერიოდში დაგროვილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევები ერთმანეთს აქტიურად გაუზიარონ. სტუდენტური ოლომპიადის შედეგების გამოქვეყნება თბილისის საქალაქო სასამართლოში, ყველა ეტაპის დასრულებიდან 1 საათის განმავლობაში მოხდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცია, რომელიც უშუალოდ ამზადებდა და ხელმძღვანელობდა ოლიმპიადას, თითოეულ მონაწილე გუნდს წარმატებას უსურვებს.

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილები

ერთდროულად სხვადასხვა კანონში, უახლოეს მომავალში, მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა იგეგმება. შესაბამისი კანონპროექტები უკვე პარლამენტშია და დეპუტატები თითოეულ მათგანზე, ეტაპობრივად, ცალ-ცალკე მსჯელობენ. ამჯერად, საუბარი გვექნება "მეწარმეთა შესახებ" კანონში, "ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა" კოდექსში, და "საგადასახადო კოდექსში, შესატან ნორმებსა და წესებზე.

"საგადასახადო კოდექსში" რამდენიმე ცვლილება განხორციელდება. ერთ-ერთი მათაგანის თანახმად, ფიზიკური პირები მათზე დარიცხული საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციას ავტომატურ რეჟიმში, საბანკო ოპერაციის განხორციელებისას მიიღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კომერციულ ბანკებს ფიზიკური პირების ინფორმირებულობის ვალდებულება დაეკისრებათ. ნებისმიერი საგადასახადო ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მიღება ბანკებში გახდება შესაძლებელი. კანონპროექტის თანახმად, პირს, რომელსაც საგადასახადო ვალდებულება ან საურავები აქვს დარიცხული, საშუალება მიეცემა მათი ოდენობის შესახებ ინფორმაცია მიიღოს კომერციული ბანკების საშუალებით, ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულების დროს.

საქმე ისაა, რომ ხშირია, შემთხვევები, როდესაც ადამიანს დასაფარი აქვს დავალიანება და თავის დროზე ამას ვერ ახერხებს არაინფორმირებულობის მიზეზით, შემდეგ კი, კანონმდებლობის თანახმად, საურავები ერიცხება და თანხა საკმაოდ იზრდება.

"იმის გამო, რომ არ მოხდეს მსგავსი შემთხვევები და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც საგადასახადო დავალიანება აქვთ დაკისრებული, ინფორმაცია სწრაფად მიეწოდოთ, დაიშვება გამონაკლისი და საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ბანკებს მიეწოდებათ", - განმარტავენ კანონპროექტის ავტორები.

დაგეგმილი სიახლის თანახმად, როდესაც მოქალაქე ბანკში მივა ამა თუ იმ ტრანზაქციის ან ოპერაციის განსახორციელებლად, ბანკის წარმომადგენელი მას ავტომატურ რეჟიმში აცნობებს, რომ საგადასახადო დავალიანება ერიცხება.

კანონპროექტის მიხედვით, მოქალაქეები დავალიანების შესახებ დროულად იქნებიან ინფორმირებულები, რითიც თავიდან აიცილებენ საურავების დარიცხვას. იმ შემთხვევაში, თუკი ჩათვლიან, რომ არასწორად აქვთ დარიცხული დავალიანება, დროულად შეძლებენ გასაჩივრებას.

ვიდრე კანონში შესატანი ცვლილება დამტკიცდება და ამოქმედდება, ეროვნული ბანკის ინიციატივით, საბანკო მომსახურეობის გაწევისას, მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მინოდების წესი უკვე ამოქმედდა. ძალაში შევიდა კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც კომერციულ ბანკსა და ბანკში მისულ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს მაქსიმალურად აწესრიგებს. ეს წესი ფიზიკური პირებისთვის დადებულ ყველა სახის იმ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებებზე გავრცელდება, რომელთა კრედიტის მთლიანი თანხა 300 ლარს აღემატება და 50 000 ლარზე, ან მათ ექვივალენტზე ნაკლებია. ასევე ვრცელდება ეს წესი ფიზიკური პირების ყველა სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებაზე, რომელთა პირველადი შენატანი 50 000 ლარზე ან მის ექვივალენტზე ნაკლებია. ბანკები ვალდებულნი ხდებიან, ხელშეკრულებებში კრედიტითა და დეპოზიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯი, პროდუქტის ეფექტური საპროცესო განაკვეთი, სავალუტო რისკების შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების პირობების ცვლილებების წესი და სხვა მონაცემები მიუთითონ.

გარდა ამისა, ბანკებმა უნდა შეიმუშავონ პრეტენზიების მიღების სტანდარტული წერილობითი პროცედურა და მიღებული პრეტენზიების სტატისტიკა საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოველთვიურად მიაწოდონ.

ბანკის მხრიდან ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის დარღვევის ან მომსახურეობით უკმაყოფილების შემთხვევაში, მოქალაქეებს უფლება აქვთ, მათი პრეტენზია ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ბანკს წარუდგინონ. პრეტენზიაზე წერილობით პასუხს ისინი ბანკისგან წინასწარ განსაზღვრულ დროში მიიღებენ. თუ ბანკის მხრიდან პრეტენზიაზე რეაგირება არადამაკმაყოფილებელი იქნება, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, საკონსულტაციოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას ცხალი ხაზის 406-406 მე

სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელს დაკავების უფლება ექნება

უახლოეს პერიოდში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს ფიზიკური პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების უფლებამოსილება მიენიჭებათ. საუბარია კანონპროექტზე, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს ითვალისწინებს და რომელსაც უახლოეს პერიდში პარლამენტი დაამტკიცებს. კანონპროექტის ავტორი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურია, ინიციატორი კი პარლამენტის თავდაცვის კომიტეტი.

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს ფიზიკური პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების გარდა, მათთვის პირადი ნივთებისა და დოკუმენტაციის ჩამორთმევის უფლებაც ექნებათ.

ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს მხოლოდ კანონდამრღვევი პირის მისი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტის ტერიტორიიდან გაყვანა შეუძლია. კანონში შესატანი ცვლილებით კი მას მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და შემდგომში შსს-სთვის გადაცემის უფლებამოსილებაც მიენიჭება.

"სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ» კანონში შესატანი ერთ-ერთი ცვლილება სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლების წახალისებლად, ჯილდოდ იარაღსაც ითვალისწინებს.

ამჟამად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და სხვა მიღწევებისთვის, წასახალისებლად გამოიყენება მადლობის გამოცხადება, პრემია ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება; 5 დღე-ღამით დამატებითი შვებულების მიცემა; მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

კანონპროექტში კი ამ ჩამონათვალს იარაღის ჯილდოდ გადაცემაც ემატება.

მართლმსაჯულება

სტატისტიკა და ქართული მართლმსაჯულება

პირველი გვერდიდან

მათგან, გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 1600 საქმეზე და გაუქმდა 710 საქმეზე.

2010 წელს განხილულ იქნა საკასაციო საჩივრით შესული 858 საქმე, რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 725 საქმეზე და გაუქმდა 133 საქმეზე.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ დავებს. 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს I ინსტანციის სასამართლოებში შესული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 1908 საქმით, ანუ 23,2 პროცენტით, განხილული საქმეების რაოდენობა კი გაიზარდა 39,5 პროცენტით - 2009 წელს თუ განიხილეს 7479 საქმე, 2010 წელს ეს რიცხვი 10435 საქმემდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა, გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა (7866 საქმე) რაოდენობაც 53,2 პროცენტით.

2009 წელტან შედარებით 2010 წელს 139 საქმით, ანუ 12,4 პროცენტით გაიზარდა მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე სასამართლოებში შესული და განხილული საქმეების რაოდენობა.

არანებაყოფილობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე განხილული საქმეების რაოდენობა შემცირდა 402 საქმით, ანუ 36,2 პროცენტით.

2010 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე დადგენილება გამოტანილი იქნა 32526 პირის მიმართ. ეს მაჩვენებელიც 2009 წელთან შედარებით 3,5 პროცენტით მეტია. მათგან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 26840 პირს, ანუ 82,5 პროცენტს, 2009 წელს - 88,1 პროცენტს.

2010 წელს სააპელაციო სასამართლოებში შემსული სააპელაციო და კერძო

საჩივრების რაოდენობა გაიზარდა 696 საქმით, ანუ 22,0 პროცენტით, ხოლო განხილული საქმეების რაოდენობა - 3972 საქმე, გაიზარდა 915 საქმით, ანუ 30,0 პროცენტით.

2010 წელს განხილულ იქნა სააპელაციო საჩივრით შესული 2893 საქმე, რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 2149 საქმეზე და გაუქმდა 744 საქმეზე.

უცვლელად დატოვებულ გადაწყვეტილებათა მაჩვენებელი 2009 წლის მონაცემთან შედარებით - 68,6 პროცენტი, 2010 წელს გაიზარდა 74,3 პროცენტამდე.

2010 წელს საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრით შესული 1441 საქმე;

რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 1281 საქმეზე და გაუქმდა 160 საქმეზე.

უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილებების მაჩვენებელიც გაზრდილია, 2009 წელს თუ იყო 83,0 პროცენტი, 2010 წელს გახდა 88,9 პროცენტი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2010 წელს საკასაციო საჩივრით განიხილა

1441 ადმინისტრაციული საქმე, აქედან, ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 725 საქმე, ანუ 50,3 პროცენტი, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი - 698 საქმე, ანუ 48,4 პროცენტი.

საგადასახადო დავებზე განხილული იყო 222 საკასაციო საჩივარი, აქედან, საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 109 საქმე, ანუ 49,1 პროცენტი, ფიზიკური პირების სასარგებლოდ კი - 107 საქმე, ანუ 48,2 პროცენტი.

2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, I ინსტანციის სასამართლოებში შესული

სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა - 15766 საქმე, გაიზარდა 283 საქმით, ანუ 1,8 პროცენტით, ხოლო სულ განხილულ საქმეთა - 16909 საქმე, რაოდენობა გაიზარდა 998 საქმით, ანუ 6,3 პროცენტით. 2009 წელთან შედარებით 6,7 პროცენტით, ანუ 15592 საქმიდან 16641 საქმემდე გაიზარდა განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობა.

2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, საპროცესო შეთანხმებით სასამართლოში შესული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 43,3 პროცენტით, ხოლო საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეები - 47,1 პროცენტით. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობა 58,2 პროცენტიდან გაიზარდა 80,2 პროცენტამდე.

2010 წელს მსჯავრდებული 19940 პირიდან: თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 9135 პირს - -სულ მსჯავრდებულთა 45,8 პროცენტს; პირობითი მსჯავრი 9484 პირს 47,6 პროცენტს; ჯარიმა 1296 პირს 7,2 პროცენტს.

2010 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს 8 პირს, ხოლო 240 პირის მიმართ საქმე შეწყდა, რაც ფაქტობრივად პირის სასარგებლოდ საქმის დასრულებას ნიშნავს.

სულ შეფარდებულ აღმკვეთ ღონისძიებებში გირაო შეეფარდა 45,2 პროცენტს.

2010 წელს სააპელაციო სასამართლოებში შესული სააპელაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა 2009 წელთან შედარებით შემცირდა 18,0 პროცენტით, ხოლო განხილული საქმეების რაოდენობა შემცირდა 8,2 პროცენტით.

2010 წელს განხილულია 2642 სააპელაციო საჩივარი 9,3 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 2009 წელს.

2010 წელს სააპელაციო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულთა სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენების (განჩინებების) მაჩვენებელი იყო 26,9 პროცენტი.

გასულ წელს 2009 წელთან შედარებით 70,1 პროცენტამდე გაიზარდა უცვლელად დატოვებული განაჩენები, შესაბამისად, შემცირდა გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების რაოდენობაც.

საკასაციო სასამართლოში 2010 წელს დამთავრდა 1198 საქმე, მათ შორის პროკურორის საკასაციო საჩივრით - 34 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 11,8 პროცენტი.

საკასაციო ინსტანციაში 2010 წელს მსჯავრდებულთა სასარგებლოდ გამოტანილი განჩინებების მაჩვენებელი იყო 3,4 პროცენტი.

უცვლელად დატოვებული განაჩენების (განჩინებების) მაჩვენებელი 86,3 პროცენტიდან გაიზარდა 2010 წლის 93,5 პროცენტამდე.

საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი განაჩენების დინამიკა
DYNAMIC OF JUDIGMENTS MADE ON THE CROUND OF PROCEDURAL AGREEMENT



მოლდოვას დელეგაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოლდოვას წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია.

დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, მოლდოვას მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. შეხვედრა ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ორგანიზებით.

მოლდოვას დელეგაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრი კახა კობერიძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი ლაშა მაღრაძე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტების ხელმძღვანელები შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი მოლდოველი კოლეგებისთვის საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმების გაცნობა იყო. ისაუბრეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებაზე, საქართველოში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის მთავარ მიმართულებებსა და რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე.

მოლდოველმა კოლეგებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში გატარებული სასამართლო რეფორმა, დეტალურად დაინტერესდნენ რეფორმის ცალკეული საკითხებით, რადგან აღნიშნული პროცესი მოლდოვაში მიმდინარეობს, ხოლო საქართველოს პრაქტიკა მათთვის მნიშვნელოვანია.

შეხვედრისას მოლდოველმა სტუმრებმა ქართველი კოლეგებისგან მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

Vox Populi

ციცინო მოისწრაფიშვილი,
61 წლის:

- რომელ სასამართლოს შეუძლია განაჩენის აღსრულება გადაუვადოს მსჯავრდებულს და ვისი შუამდგომლობით უნდა მოხდეს სასჯელის მოხდის გადავადება?

- მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელად დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაუვადოს იმავე სასამართლომ, რომელმაც მას განაჩენი გამოუტანა. განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხის განხილვისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას. თუმცა, განაჩენის აღსრულების გადავადებას საფუძვლები უნდა გააჩნდეს. კანონი ამისთვის რამდენიმე პირობას განსაზღვრავს.

განაჩენის აღსრულების გადავადება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

გარდა ამისა, კანონით, სასჯელის აღსრულების გადავადება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ განაჩენის აღსრულების მომენტისთვის მსჯავრდებული ორსულადაა.

განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით.

ნათია ვაშაყმაძე,
20 წლის:

- კანონით, რა ვადაში და რამდენ ხანში შედის ძალაში ამა თუ იმ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში გამოცხადებისთანავე, თუკი დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება; სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა; თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მისი სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული - საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და ასევე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე.

სასამართლო ქრონიკა

ალიმენტის დაკისრების და გადახდის წესი

იმ საქმეებს შორის, რომლებსაც ქართული მართლმსაჯულება განიხილავს და საოჯახო დავების კატეგორიას განეკუთვნება, მრავლადაა ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებით მეუღლეებს შორის წარმოებული დავებიც. ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

მხოლოდ 2010 წელს სასამართლოებში შევიდა 4 ათას 952 სარჩელი საოჯახო დავაებთან დაკავშირებით, აქედან დამთავრდა 4 ათას 505 საქმის განხილვა, გადაწყვეტილების გამოტანით განხილულია 3 ათას 153 საქმე და დაკმაყოფილდა 438 სარჩელი. საუჯახო დავების სტატისტიკური მონაცემებიდან, 1 232 სარჩელი ბავშვის შესანახად ალიმენტის გადახდევინებას შეეხებოდა, აქედან გადაწყვეტილების გამოტანით დასრულდა 886 საქმე და დაკმაყოფილდა 631 სარჩელი.

ბოლო წლების სტატისტიკა ასეთია: ბავშვის შესანახად ალიმენტის გადახდევინების თაობაზე სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებში 2008 წელს შევიდა 487 სარჩელი, გადაწყვეტილების გამოტანით განხილულია 391 საქმე და დაკმაყოფილდა 370 სარჩელი.

2009 წლის 734 სარჩელი, გადაწყვეტილების გამოტანით განიხილეს 539, დაკმაყოფილდა 516 სარჩელი.

ოჯახის წევრებს შორის ალიმენტთან დაკავშირებული დავები ხშირ შემთხვევაში კონფლიქტში იზრდება და დავა ისე რთულდება ხოლმე, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს სამუდამოდ კარგავენ და ერთმანეთისთვის მტრად იქცევიან ხოლმე. არადა, ასეთი კონფლიქტების მოგვარება სამართლებრივი გზით მარტივადაა შესაძლებელი, თუკი, მოდავეებს ეცოდინებათ, რომ პრობლემებს, რომლებსაც საალიმენტო მოვალეობები ჰქვია, კანონი არეგულირებს.

სამოქალაქო კოდექსი ოჯახის წევრების მოვალობებს აწესებს და მის მიხედვით, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისთვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. თუმცა, კანონის თანახმადვე, თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისთვის აუცილებელი მოთხოვნების ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

გარდა მშობლების მოვალეობა-ვალდებულებისა, კანონი შვილებსაც უწესებს მოვალეობებს მშობლების მიმართ.

•შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებზე და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას,• - განმარტავს სამოქალაქო კოდექსი.

გარდა ამისა, კანონის მიხედვითვე, თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო, ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ თანხის განსაზღვრისას კი სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.

ისევე, როგორც მშობლებს, შვილებსაც, რომლებიც ალიმენტს უხდიან შრომისუუნარო მშობლებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (მშობლების მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ. იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა. მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს იმ თანხის ოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადონ მშობლებმა სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების სასარგებლოდ, ან შვილებმა - შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ, თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის სარჩელით შეცვალოს ალიმენტის დადგენილი ოდენობა.

გარდა შვილებისა და მშობლებისა, სამოქალაქო კოდექსი ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობებსაც აწესრიგებს.

დები და ძმები, რომელთაც ფინანსური საშუალება აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი დების ან ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავის მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

შვილიშვილი, რომელსაც ფინანსური საშუალება აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო ბებია და ბაბუა, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი შვილისგან ან ერთმანეთისაგან.

პაპა და ბებია, რომლებსაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

რაც შეეხება მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო მოვალეობებს. მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არა ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები.

საალიმენტო მოვალეობა გერსაც აკისრია. გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გერი მამინაცვალის ან დედინაცვლის რჩენის მოვალეობისგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, ალიმენტის ოდენობას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, ალიმენტის გადამხდელისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუ ოჯახის რჩენა ერთდროულად რამდენიმე პირის მოვალეობაა, სასამართლო მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეულის წილის ოდენობას ამ მოვალეობის შესრულებაში; ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელ ყველა პირს, იმის მიუხედავად, ალიმენტს სთხოვენ ყველა ამ პირს, თუ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს.

თუკი შეიცვლება ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, გადასახდელი ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ, სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე, შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა.

ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

სასამართლოს უფლება აქვს, ალიმენტის გადამხდელი მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ალიმენტის დავალიანების გადახდისაგან, თუკი დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობა გამოწვეული იყო ამ პირის ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით.

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, თუკი მშობლები ვერ თანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავა სასამართლოში წარიმართება.

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის დავებში, როგორც წესი, მოსარჩელეებად ქალები გვევლინებიან - დედები, რომლებიც განქორწინების შემდეგ მზრუნველობენ შვილებზე და მათი რჩენისთვის ალიმენტს ითხოვენ მამებისგან, ანუ ყოფილი მეუღლეებისგან. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, სასამართლომ 5 შვილის მამის - დ. გ-ს სარჩელი განიხილა და შვილების დედას, ანუ მოსარჩელის ყოფილ მეუღლეს - თ. ფ-ს თითოეული შვილის სასარგებლოდ 50-50 ლარის ალიმენტის, საერთო ჯამში, თვეში 250 ლარის გადახდა დააკისრა.

თ. ფ-მ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იხდიდა დაკისრებულ ალიმენტს, რის შემდეგაც სასამართლოს მიმართა და ალიმენტის თანხის შემცირება მოითხოვა -თითოეულ ბავშვზე დაკისრებული 50 ლარის 20 ლარამდე შემცირება. იმ მოტივით, რომ გაუარესდა მისი ჯანმრთელობის და მატერიალური მდგომარეობა.

"სასამართლო ითვალისწინებს იმას, რომ მოსარჩელე იმყოფება ავად და მისთვის ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლება, ოჯახი განიცდის მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას," - ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ თ. ფ-ს ხუთი შვილისთვის 250 ლარის ნაცვლად, 200 ლარის ალიმენტის გადახდა დაეკისრა, თუმცა იგი თანხის 100 ლარამდე შემცირებას ითხოვდა.

ეს გადაწყვეტილება კი, ამჯერად, ბავშვების მამამ გაასაჩივრა. საბოლოოდ, სასამარტლო დავა იმით დასრულდა, რომ დედას ბავშვებისთვის - თითოეულ ბავშვისთვის ყოველთვიურად 40 ლარის ალიმენტის გადახდა დაეკისრა.

არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ალიმენტის მინიმალური ოდენობა, როგორც წესი, ერთ ბავშვზე 50 ლარს შეადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე - შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ანალოგიურ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც მიუთითა: **"პალატის აზრით, დღევანდელი საბაზრო მეურნეობის პირობებში 50 ლარი არის გონივრული თანხა თითოეული ბავშვის შესანახად,"** - ეს განმარტება 6 შვილის მამის სააპელაციო საჩივრის განხილვას მოჰყვა, რომლითაც ნ. კ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კოპაძეს 6 შვილისთვის თვეში 300 ლარის ალიმენტის გადახდა დაეკისრა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

საქართველოს კანონმდებლობით, ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხდება ქონების დაყადაღება, თანხის იძულებით ამოღება და "ურჩი" მშობლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com